განკარგულება:**გ-37. 3725330001**
თარიღი:**26/11/2025**

განკარგულება N62

26 ნოემბერი 2025 წელი
ქ. ოზურგეთი

ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის და ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრში შემავალი სოფელ ცხემლისხიდის ფილიალის (საბავშვო ბაღი) მიერ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სახელით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისგან გრანტის მიღებაზე თანხმობის მიცემისა შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-100-ე მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების და „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის 5-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრს და ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრში შემავალი სოფელ ცხემლისხიდის ფილიალს (საბავშვო ბაღი), ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სახელით, მიიღონ გრანტი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისგან, (წარმოდგენილი გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალური სამინისტროს სახით, რომელსაც წარმოადგენს საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩო).

მუხლი 2. გრანტის მიღებასთან და გამოყენებასთან დაკავშირებული სამართლებრივი და ფინანსური ვალდებულებების შესრულება დაეკისროს ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრს.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14);

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი